



დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე
(გადამუშავებული ვარიანტი)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

დასკვნა.....	5
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა	6
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი	7
3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები	7
3.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები	8
3.2 არაფინანსური აქტივების კლება.....	10
4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები.....	10
4.1 ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.....	13
4.2 ასიგნებები	15
5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები.....	16
6. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი.....	17

**დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე (გადამუშავებული ვარიანტი)**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავე მუხლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

-)/ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ;
-)/ მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
-)/ წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
-)/ დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პასუხისმგებლობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებელია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალების და ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის წარდგენაზე საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, იმ დაშვებების განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომელსაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და

გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

-) უზრუნველყოფს თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
-) არის თუ არა რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
-) არის თუ არა რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება – ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

2023 წლის 10 თვის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 6.9% შეადგინა. „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით, 2024 წელს რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5.2%-ის ოდენობით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5%-ს შეადგენს. აღნიშნულის პარალელურად, მსოფლიოში არსებული ინფლაციური პროცესებისა და გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ფისკალური დისციპლინის მდგრადობა და ფისკალური პოლიტიკის სწორად განხორციელება.

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით, 2024 წელს შემოსულობები 649.1 მლნ ლარს, ხოლო გადასახდელები 726.6 მლნ ლარს შეადგენს და 2023 წლის გეგმასთან შედარებით ორივე იზრდება, შესაბამისად, 107.2 მლნ და 153.9 მლნ ლარით. შემოსულობების ზრდა განპირობებულია „შემოსავლების“ მუხლის 54.6 მლნ ლარით და „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლის 52.6 მლნ ლარით ზრდით, ხოლო გადასახდელების ზრდა ძირითადად უკავშირდება „ხარჯების“ მუხლის 111.9 მლნ ლარით ზრდას.

რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველად კანონპროექტზე მომზადებული დასკვნის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ძირითად საკითხებზე:

- 1) მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს რეგიონში არსებული რესურსების, ბოლო წლების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების ანალიზის საფუძველზე.
- 2) მნიშვნელოვანია, პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელმა უწყებებმა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გაითვალისწინონ პროექტების განხორციელების/მიმდინარეობის როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, დასაგეგმი წლისათვის მოსალოდნელი აქტივობების მასშტაბი და აღნიშნულზე დაყრდნობით განსაზღვრონ მომდევნო წლისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მოცულობა, რათა ოპტიმალურად მოხდეს რესურსების გადანაწილება ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპზე და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება;
- 3) მიუხედავად პროგრესისა, პროგრამული ბიუჯეტის დანართი კვლავ სისტემური ხარვეზებით ხასიათდება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების გამართულობა, შედეგების შეფასების ინდიკატორების ხარისხი, მათ შორის, ცხადი სამიზნე მაჩვენებლების არსებობა და ცდომილების აღბათობისა და შესაძლო რისკების განსაზღვრა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გარდა დასკვნაში მოცემული შენიშვნებისა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი სათანადოდ არის მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე, შესაძლებელია შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით 2024 წლის შემოსულობების პროგნოზი 649.1 მლნ ლარის, ხოლო გადასახდელების გეგმა 726.6 მლნ ლარის დონეზეა განსაზღვრული. მიმდინარე წელთან შედარებით ორივე მაჩვენებელი იზრდება, შესაბამისად, 107.2 მლნ და 153.9 მლნ ლარის ოდენობით. შემოსულობების ზრდა განპირობებულია „შემოსავლების“ მუხლის 54.6 მლნ ლარით და „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლის 52.6 მლნ ლარით ზრდით, ხოლო გადასახდელების ზრდა ძირითადად უკავშირდება „ხარჯების“ მუხლის 111.9 მლნ ლარით ზრდას.



* დიაგრამაზე მოცემული კლების/ზრდის მაჩვენებლები წარმოადგენს 2024 წლის პარამეტრების შედარებას 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

2024 წლის გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი შემოსულობებს აჭარბებს 77.5 მლნ ლარით. შესაბამისად, იგეგმება ბიუჯეტის ნაშთიდან 77.5 მლნ ლარის გამოყენება. წარმოდგენილი პროგნოზით, 2024 წლის ბოლოს რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე თავისუფალი ნაშთი არ უნდა იყოს.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით, შემოსავლები – 556,100.0 ათასი ლარით, ხარჯები – 551,156.6 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება კი, 63,112.5 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 2024 წლისთვის 4,943.4 ათას ლარს, ხოლო მთლიანი სალდო -58,169.1 ათას ლარს შეადგენს. წარმოდგენილი კანონპროექტით, გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილის – 77,453.7 ათასი ლარის დაფინანსება იგეგმება 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთიდან.

ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის გეგმა	2024 წლის პირველადი გეგმა	2024 წლის გადამუშ. გეგმა	2024 წლის გადამუშ./პირველ. ზრდა/კლება	ზრდა/კლება 2023-2024 წწ.	ზრდა/კლება 2023-2024 წწ. (%)
შემოსავლები	501,533.7	541,100.0	556,100.0	15,000.0	54,566.4	10.9%
ხარჯები	439,292.4	529,368.6	551,156.6	21,788.0	111,864.2	25.5%
საოპერაციო სალდო	62,241.2	11,731.4	4,943.4	-6,788.0	-57,297.9	-92.1%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	84,734.5	58,446.8	63,112.5	4,665.7	-21,622.0	-25.5%
მთლიანი სალდო	-22,493.2	-46,715.4	-58,169.1	-11,453.7	-35,675.9	158.6%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-30,702	-66,000.0	-77,453.7	-11,453.7	-46,751.6	152.3%
ვალდებულებების ცვლილება	-8,208.8	-19,284.6	-19,284.6	0	-11,075.7	134.9%
ბალანსი	0	0	0			
2023 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი						45,706.2
ნაშთი 2023 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით						138,601.9

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლები ნაშთის შემცირების ტენდენციით გამოირჩეოდა, რესპუბლიკური ბიუჯეტის წარმოდგენილი კანონპროექტით, 2023 წლის ბოლოს ნაშთი არანაკლებ 77,453.7 ათას ლარამდე იზრდება. ამასთანავე, 2023 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთის მოცულობის (138,601.9 ათასი ლარი) გათვალისწინებით, 2023 წლის ბოლოს ნაშთის საპროგნოზო მოცულობით ათვისების ალბათობა დაბალია.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გადამუშავებული პროექტით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 649,100.0 ათას ლარს, რაც 2023 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს – 107,150.7 ათასი ლარით, ანუ 19.8%-ით, ხოლო 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს – 15,000.0 ათასი ლარით, ანუ 2.4%-ით აღემატება.

2023 წელთან მიმართებით, შემოსულობების სტრუქტურაში ზრდის ტენდენციით გამოირჩევა როგორც შემოსავლები, რომელიც 54,566.4 ათასი ლარით, ანუ 10.9%-ით იზრდება, ასევე

არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი, რომელიც 52,584.3 ათასი ლარით, ანუ 130.1%-ით იზრდება. 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით არ იგეგმება ვალდებულებების ზრდა.

ცხრილი 2. შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

შემოსულობების კომპონენტები	2023 წლის გეგმა	2023 წლის 11 თვის ფაქტი	2023 წლის 11 თვის შესრულება (%)	2024 წლის პირველ. გეგმა	2024 წლის გადამუშ. გეგმა	2023-2024 წწ. ზრდა/კლება	2023-2024 წწ. ზრდა/კლება (%)
შემოსავლები	501,533.7	460,569.2	91.8%	541,100.0	556,100.0	54,566.4	10.9%
არაფინანსური აქტივების კლება	40,415.7	33,248.8	82.3%	93,000.0	93,000.0	52,584.3	130.1%
ჯამი:	541,949.4	493,818.0	91.1%	634,100.0	649,100.0	107,150.7	19.8%

3.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2024 წლისთვის 556,100.0 ათას ლარს შეადგენს. მიმდინარე წლის პროგნოზირებულ მაჩვენებლებთან შედარებით, „გადასახადების“ კომპონენტი იზრდება 55,000.0 ათასი ლარით (11.5%-ით), „სხვა შემოსავლების“ კომპონენტი კი მცირდება 145.0 ათასი ლარით (0.7%-ით). ამასთანავე, 2024 წელს „გრანტების“ კომპონენტში შემოსავლების მიღება დაგეგმილი არ არის.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყარო გადასახადებია, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადი, რომლის საპროგნოზო მაჩვენებელი, ბიუჯეტის გადამუშავებული კანონპროექტით 535,000.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 55,000.0 ათასი ლარით, ანუ 11.5%-ით აღემატება 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს. წარმოდგენილი ინფორმაციით, საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პარამეტრის საფუძველზე.

ცხრილი 3. შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

შემოსავლები კომპონენტები	2023 წლის წლის გეგმა	2023 წლის 11 თვის ფაქტი	2024 წლის 11 თვის შესრულება (%)	2024 წლის პირველადი გეგმა	2024 წლის გადამუშ. გეგმა	2023-2024 წწ. ზრდა/კლება	2023-2024 წწ. ზრდა/კლება (%)
გადასახადები	480,000.0	440,961.2	91.9%	520,000.0	535,000.0	55,000.0	11.5%
გრანტები	288.7	288.7	100.0%	-	-	-288.7	-100.0%
სხვა შემოსავლები	21,245.0	19,319.3	90.9%	21,100.0	21,100.0	-145.0	-0.7%
ჯამი:	501,533.7	460,569.2	91.8%	541,100.0	556,100.0	54,566.4	10.9%


სხვა შემოსავლების მუხლის 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 21,100.0 ათასი ლარია. ამ კუთხით შემოსავლების ყველაზე მსხვილი კომპონენტია პროცენტები (14,706.1 ათასი ლარი). პროცენტების სახით მისაღები შემოსავლების პროგნოზი მიმდინარე წელთან შედარებით იზრდება 2,713.4 ლარით (22.6%-ით), რაც დაკავშირებულია რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე ნაშთის ზრდის პროგნოზთან.

ცხრილი 4. სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

სხვა შემოსავლები კომპონენტები	2023 წლის გეგმა	2023 წლის 11 თვის ფაქტი	2023 წლის 11 თვის შესრულება (%)	2024 წლის გეგმა	2023-2024 წწ. ზრდა/კლება	2023-2024 წწ. ზრდა/კლება (%)
შემოსავლები საკუთრებიდან	14,931.4	12,912.1	86.5%	15,632.0	700.6	4.7%
პროცენტები	11,992.7	11,030.5	92.0%	14,706.1	2,713.4	22.6%
დივიდენდები	1,700.0	611.7	36.0%	-	-1,700.0	-100.0%
რენტა	1,238.7	1,269.9	102.5%	925.8	-312.9	-25.3%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	703.6	724.4	103.0%	448.0	-255.6	-36.3%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	10.0	10.9	109.0%	20.0	10.0	0.0%
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	5,600.0	5,672.0	101.3%	5,000.0	-600.0	-10.7%
ჯამი:	21,245.0	19,319.3	90.9%	21,100.0	-145.0	-0.7%

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, 925.8 ათასი ლარის ნიშნულზეა განსაზღვრული რენტის სახით მისაღები შემოსავლები, რომელიც 344.1 ათასი ლარით ნაკლებია მიმდინარე წლის 11 თვის საკასო შესრულებაზე. არსებული რესურსების გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო ამ კომპონენტში შემოსავლების საპროგნოზო მოცულობის გაზრდა, რაც ბიუჯეტის გადამეშავებული ვერსიის წარმოდგენის დროს არ იქნა გათვალისწინებული.

დიაგრამა 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის დივიდენდების სახით შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები 2018-2023 წლებში (ათასი ლარი)



2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის როგორც პირველადი, ისე გადამუშავებული კანონპროექტით დივიდენდების სახით შემოსავლების მიღება დაგეგმილი არ არის. 2023 წლის 11 თვეში დივიდენდების სახით რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 611.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 36.0%-ია. აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 40 საწარმოდან,¹ 2023 წლის 11 თვეში დივიდენდი გადახდილი აქვს 3 საწარმოს.² ამასთანავე, ბოლო პერიოდში დივიდენდების გადამხდელი საწარმოების პრივატიზება არ განხორციელებულა, ასევე მათი საქმიანობის სფერო და მოგება-ზარალის დინამიკა არსებითად არ შეცვლილა. გარდა ამისა, ბიუჯეტის პროექტს არ ახლავს დივიდენდების სახით მისაღები შემოსავლების ნულოვან ნიშნულზე განსაზღვრის დასაბუთება.

3.2 არაფინანსური აქტივების კლება

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით მისაღები შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 93,000.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 52,584.3 ათასი ლარით (18.5%-ით) აღემატება 2023 წლის გეგმურ მაჩვენებელს, 2.7-ჯერ - 2022 წლის ფაქტს და 4.2-ჯერ - 2021 წლის ფაქტს. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 11 თვეში არაფინანსური აქტივების კლების მუხლიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 33,248.8 ათასი ლარი, რაც შემცირებული წლიური გეგმის³ 82.3%-ია. გამომდინარე იქიდან, რომ საპრივატიზებო აქტივების მოცულობა ბოლო პერიოდში არსებითად არ შეცვლილა, არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების ასეთი მოცულობით დაგეგმვა მეტ დასაბუთებას საჭიროებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს ბოლო წლების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების ანალიზის საფუძველზე.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით გადასახდელების წლიური გეგმა 726,553.7 ათასი ლარის დონეზეა განსაზღვრული და 26.9%-ით იზრდება მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. კანონპროექტით დაგეგმილია გადასახდელების ყველა კომპონენტის ზრდა: „ხარჯების“ მუხლი იზრდება 111,864.2 ლარით (25.5%-ით), „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი - 30,962.3 ათასი

¹ მოწოდებული ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ 7 საწარმოში მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება, ხოლო 4 საწარმო გადაცემულია მართვის უფლებით.

² შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ - 550.0 ათასი ლარი, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ - 45.0 ათასი ლარი, შპს „აჭარის ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი“ - 16.7 ათასი ლარი.

³ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 30 ნოემბრის კანონით, „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით მისაღები შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 80,415.7 ათასი ლარიდან შემცირდა 40,415.7 ათას ლარამდე.

ლარით (24.7%-ით), ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლი – 11,075.7 ათასი ლარით (134.9%-ით).

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით გადასახდელების წლიური გეგმა კანონპროექტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 26,453.7 ათასი ლარით, ანუ 3.8%-ით აღემატება.

ცხრილი 5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების დინამიკა (ათასი ლარი)


გადასახდელების კომპონენტები	2023 წლის გეგმა	2023 წლის 11 თვის ფაქტი	2023 წლის 11 თვის შესრ. (%)	2024 წლის პირველად ი გეგმა	2024 წლის გადამუშ. გეგმა	2024 წლის გადამუშ./პირ. გეგმა ზრდა/კლება	2023-2024 წწ. ზრდა/კლე ბა	2023-2024 წწ. ზრდა/კლე ბა (%)
ხარჯები	439,292.4	313,464.3	71.4%	529,368.6	551,156.6	21,788.0	111,864.2	25.5%
არაფინანსური აქტივების ზრდა	125,150.2	79,963.0	63.9%	151,446.8	156,112.5	4,665.7	30,962.3	24.7%
ვალდებულებები ს კლება	8,208.8	7,495.0	91.3%	19,284.6	19,284.6	-	11,075.7	134.9%
ჯამი:	572,651.4	400,922.3	70.0%	700,100.0	726,553.7	26,453.7	153,902.3	26.9%

მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ხარჯების მუხლის მოცულობითი ზრდა ძირითადად გამოწვეულია გრანტების ხარჯების - 54,285.3 ათასი ლარით, ანუ 25.9%-ით და სხვა ხარჯების 34,792.9 ათასი ლარით, ანუ 71.9%-ით ზრდით. მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების მოცულობა იზრდება 47,544.0 ათასი ლარით, შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ დაფინანსება - 26,114.5 ათასი ლარით.


ცხრილი 6. რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის გეგმა	2024 წლის პირველადი გეგმა	2024 წლის გადამუშ. გეგმა	2024 წლის გადამუშ./პირგ. ზრდა/კლება	2023-2024 წწ. ზრდა/კლება	2023-2024 წწ. ზრდა/კლება (%)
შრომის ანაზღაურება	54,038.4	61,710.7	62,784.0	1,073.3	8,745.6	16.2%
საქონელი და მომსახურება	74,532.0	82,802.6	85,756.0	2,953.4	11,224.0	15.1%
პროცენტი	909.0	934.3	934.3	-	25.4	2.8%
სუბსიდიები	13,463.0	16,170.5	15,558.5	-611.9	2,095.5	15.6%
გრანტები (გაცემული)	209,394.9	249,010.8	263,680.1	14,669.4	54,285.3	25.9%
სოციალური უზრუნველყოფა	38,574.8	39,856.6	39,270.3	-586.3	695.5	1.8%
სხვა ხარჯები	48,380.5	78,883.2	83,173.4	4,290.2	34,792.9	71.9%
ჯამი:	439,292.4	529,368.6	551,156.6	21,788.0	111,864.2	25.5%

დიაგრამა 2. 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული „ხარჯების“ მუხლის სტრუქტურა (ათასი ლარი)



დიაგრამა 3. რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიან გადასახდელებში „ხარჯების“ მუხლის თითოეული კომპონენტების წილის დინამიკა - 2021-2024 წლები



რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების შემთხვევაში, სხვაობა მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის დაფინანსების მოცულობას შორის შესაძლებელია დაკავშირებული იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან, თუმცა, გადასახდელების დაგეგმვისას, სხვა მიზეზებთან ერთად, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციები, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება.

ცხრილი 7. 2023 წლის 11 თვის მდგომარეობით, წლიურ გეგმასთან 50%-ზე დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა, რომელთა ასიგნებებიც იზრდება ან იმავე დონეზე ნარჩუნდება 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით (ათასი ლარი)

კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 11 თვის ფაქტი	2023 წლის 11 თვის შესრულება	2024 წლის გეგმა	ზრდა 2024-2023 წწ.
04 01 03 03	აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება	2,889.5	423.9	14.7%	7,980.0	5,090.5
04 01 03 04	ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	4,740.3	883.2	18.6%	5,140.0	399.7
04 01 05	მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა	100.0	-	0%	100.0	0
04 13 02 03	რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება	840.0	155.7	18.5%	1,570.0	730.0
04 13 03 05	ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა	1,026.1	158.2	15.4%	1,370.0	343.9
04 14 02 01	გზების რეაბილიტაცია	29,823.0	13,063.8	43.8%	30,400.0	577.0
05 08 01	ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის	357.0	158.5	44.4%	1,052.6	695.6
05 12 03	ა(ა)იპ ძალოსნობის კომპლექსი	620.2	38.1	6.1%	1,417.9	797.7
05 14 08	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	335.0	115.8	34.6%	438.0	103.0
05 14 10 02	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება	4,602.1	1,906.0	41.4%	6,591.6	1,989.4
05 14 15	კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	2,042.0	101.6	5.0%	4,101.5	2,059.5
06 10 10	დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა	35.0	-	0%	35.0	0
07 09 01	ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა	750.0	61.5	8.2%	1,250.0	500.0
07 13	სამელიორაციო სისტემების მართვა	1,393.8	682.4	49.0%	1,856.3	462.6

მნიშვნელოვანია, განმახორციელებელმა უწყებებმა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გაითვალისწინონ პროექტის განხორციელების/მიმდინარეობის როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, დასაგეგმი წლისათვის მოსალოდნელი აქტივობების მასშტაბი და აღნიშნულზე დაყრდნობით განსაზღვრონ მომდევნო წლისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მოცულობა, რათა ოპტიმალურად მოხდეს რესურსების გადანაწილება ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპზე.

4.1 ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

2023 წლის გეგმურ მაჩვენებლებთან მიმართებით, 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვერსიით გარემოს დაცვის სფეროს დაფინანსება მცირდება 29.2%-ით, ხოლო სხვა ყველა სფეროს დაფინანსება იზრდება.


ცხრილი 8. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის გეგმა	2024 წლის პირველადი გეგმა	2024 წლის გადამუშავებული გეგმა	2023-2024 წწ. ზრდა/კლება	2023-2024 წწ. ზრდა/კლება (%)
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	265,869.9	335,403.6	352,470.1	86,600.2	32.6%
ეკონომიკური საქმიანობა	106,595.1	128,943.7	129,440.9	22,845.8	21.4%
გარემოს დაცვა	6,619.5	4,211.9	4,684.4	-1,935.1	-29.2%
საბინაო კომუნალური მეურნეობა	11,000.0	17,000.0	17,000.0	6,000.0	54.5%
ჯანმრთელობის დაცვა	38,780.3	40,208.1	40,008.1	1,227.8	3.2%
დასვენება, კულტურა და რელიგია	50,895.2	62,141.2	64,903.0	14,007.8	27.5%
განათლება	74,713.3	81,859.9	87,515.6	12,802.3	17.1%
სოციალური დაცვა	9,969.2	11,047.0	11,247.0	1,277.8	12.8%
ჯამი:	564,442.6	680,815.4	707,269.1	142,826.5	25.3%

გარემოს დაცვის სფეროს დაფინანსების შემცირება უკავშირდება „პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების“ პროგრამის დაფინანსების 2,601.8 ათასი ლარით შემცირებას მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებით. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის სტრუქტურის ანალიზი პრიორიტეტების მიხედვით ცხადყოფს, რომ 2024 წლისთვის შენარჩუნებულია ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესაბამისად გასაწევი ხარჯების პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლების შესაბამისად, გადასახდელების უდიდესი წილი (89.7%) 4 ძირითადი პრიორიტეტის დასაფინანსებლად არის მიმართული: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 49.8%, ეკონომიკური საქმიანობა – 18.3%, განათლება – 12.4% და დასვენება, კულტურა და რელიგია – 9.2%. დანარჩენი 4 პრიორიტეტის დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ჯამური ოდენობა 2024 წლის ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლების 10.3%-ს შეადგენს და ცალკეული პრიორიტეტისათვის 0.7%-იდან 5.7%-მდე მერყეობს.

დიაგრამა 4. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური სტრუქტურა (პროცენტი)



4.2 ასიგნებები

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებული კანონპროექტის შესაბამისად, 2023 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან მიმართებით, ასიგნებების მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (25,456.3 ათასი ლარით), ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (25,202.0 ათასი ლარით), სოფლის მეურნეობის სამინისტროს (3,273.6 ათასი ლარით), ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (2,505.5 ათასი ლარით) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (2,490.9 ათასი ლარით), ხოლო სხვა მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების ცვლილება ძირითადად დაკავშირებულია „შრომის ანაზღაურების“ და „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების“ ხარჯების ზრდასთან.

ცხრილი 9. ასიგნებების საპროგნოზო მაჩვენებლები (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის გეგმა	2024 წლის პირველადი გეგმა	2024 წლის გადამუშავებული გეგმა	2024 წლის გადამუშ./პირველ. ზრდა/კლება	2023-2024 წწ. ზრდა/კლება	2023-2024 წწ. ზრდა/კლება (%)
უმაღლესი საბჭო	7,125.9	7,519.3	7,519.3	0	393.4	5.2%
უმაღლესი საარჩევნო კომისია	1,606.2	4,097.1	4,097.1	0	2,490.9	60.8%
მთავრობა	5,456.7	5,614.2	5,763.2	149.0	306.5	5.5%
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	114,613.9	139,763.9	139,815.9	52.0	25,202.0	18.0%
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	115,165.4	132,121.8	140,621.7	8,499.9	25,456.3	19.3%
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	48,749.5	51,125.0	51,255.0	0	2,505.5	4.9%
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	28,741.0	31,044.9	32,014.6	969.7	3,273.6	10.5%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	251,192.8	328,683.9	345,466.9	16,783.0	94,274.1	28.7%
ჯამი:	572,651.4	700,100.1	726,553.7	264,453.6	153,902.3	22.0%

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსების ზრდა ძირითადად განპირობებულია 4,775.4 ათასი ლარით – „აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ პროგრამის ბიუჯეტის ზრდით. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (3,355.4 ათასი ლარი), სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (1,110.0 ათასი ლარი), სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (260.0 ათასი ლარი) და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (50.0 ათასი ლარი) ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ასიგნებების გეგმური მაჩვენებლების ზრდა. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად,

ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა მოხმარდეს დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურების ზრდასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაფინანსების ზრდა ძირითადად დაკავშირებულია „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის“ პროგრამის დაფინანსების 5,338.5 ათასი ლარით და „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის დაფინანსების 4,690.0 ათასი ლარით ზრდასთან. „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის“ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, საგზაო კომუნიკაციების და ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მოდერნიზაცია, რეაბილიტაცია და სხვა, ხოლო „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამით ფინანსდება ხულოს მუნიციპალიტეტში მწვანე ტბის სარეკრეაციო ადგილის მიმდებარე სეზონური დასახლებებისა და ალპური ბოტანიკური ბაღის ელექტრომომარაგებისათვის ძირითადი ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახლის ხეობაში ეთნოსოფელის განვითარებისთვის მეორე რიგის სამშენებლო სამუშაოების დასრულება და მესამე რიგის სამშენებლო სამუშაოების დაწყება; შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსების ზრდა უკავშირდება „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ბიუჯეტის 2,426.1 ათასი ლარით ზრდას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებში 716,8 ათასი ლარით იზრდება „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამის დაფინანსება.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, უცხოეთიდან მიღებული სესხების მომსახურების, თანადაფინანსებისა და სესხების დაბრუნების ხარჯების/ვალდებულებების კლების საპროგნოზო მოცულობა 15,218.9 ათას ლარს შეადგენს და 6,101.1 ათასი ლარით (66.9%-ით) აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებული კანონპროექტის მიხედვით, უცხოეთიდან მიღებული სესხების მომსახურების ხარჯი (პროცენტის ხარჯი) 2024 წელს, მიმდინარე წელთან შედარებით, 25.4 ათასი ლარით (2.8%-ით), ხოლო უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების გადასახდელი – 6,075.7 ათასი ლარით (74.0%-ით) იზრდება. გადასახდელის მნიშვნელოვანი ზრდა დაკავშირებულია კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხის დაბრუნებასთან.

ცხრილი 10. სესხების მომსახურების და უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების საპროგნოზო მაჩვენებლები (ათასი ლარი)

კოდი	სესხის დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა	ზრდა/ კლება	ზრდა/ კლება (%)
09 06	სესხების მომსახურების ხარჯები	495.5	909.0	934.3	25.4	2.8%
09 06 01	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები	462.3	798.6	427.3	-371.2	-46.5%
09 06 02	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები	33.1	110.4	507.0	396.6	359.1%
09 07	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯები	115.9	0	0	0	
09 07 04	მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარაში	115.9	0	0	0	
09 08	უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება	2,978.5	8,208.8	14,284.6	6,075.7	74.0%
09 08 01	კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KfW) მიღებული სესხის დაბრუნება	1,326.8	6,757.0	12,763.8	6,006.8	88.9%
09 08 02	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის დაბრუნება	1,651.7	1,451.9	1,520.8	68.9	4.7%

6. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართული „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“ მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესდა პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და დამატებით გაუმჯობესებას.

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებული კანონპროექტის პროგრამული ბიუჯეტის დანართის ანალიზისას გამოვლინდა პროგრამების შემუშავების პროცესში არსებული შემდეგი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები:

- 1) პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების ფორმირების პროცესი - დანართში წარმოდგენილი 61 პროგრამიდან 18 პროგრამა (29.5%) არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად. საყურადღებოა, რომ ანალოგიური პროგრამები, ქვეპროგრამების გარეშე დაფიქსირდა წინა წელსაც.
- 2) შუალედური და საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორების შემუშავება - პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგების ნაწილს არ გააჩნია კონკრეტული მისაღწევი მიზანი, რაც ანგარიშების ეტაპზე გაართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას;

-) ცდომილების აღბათობისა და შესაძლო რისკების განსაზღვრა - პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი ინდიკატორების 100%-ის შემთხვევაში არ ხდება ცდომილების აღბათობისა და შესაძლო რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.

პროგრამული ბიუჯეტირების კუთხით არსებული ნაკლოვანებების ეტაპობრივი გამოსწორებისა და ამ მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და ფორმალურად განისაზღვროს რეგიონში პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით.